საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ტფილ. ფასი 5000 მან. ▭ პროვინც. 6000 მან.

პარასკევი, აგვისტოს 11

1922 წ.

269
ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმათ დამწუხრებული მშობლები: დედა ეფრ. დიმიტრის ასული, მამა იულ. ლომინის ძე, დები: ნადეჟდა მოწონელიძისა, აგრაფენა, ზინა და ლიუბა. ძმები: იპატი და სერაფიმე ივლ. ძენი და ასულნი და ბიძები: ბასა, ნიკო და სილიბისტრო ლომინის ძენი კერძაიები, სიძე აკაკი ტარიელის ძე მოწონელიძე აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ამ თვის 20 აგვისტოს სოფ. ნოსირში (სენაკის მაზრა) გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი მეორე სახელმწიფო კონსერვატორიის მსმენელის, მათთვის დაუვიწყარი

ვერა იულონის ასული კერძაიასი

სულის მოსახსენებლად პანაშვიდი დაიწყება 12 საათზე.

№ 288

ორშაბათს, აგვისტოს 14-ს საღამოს 6 საათზე

ზუგდიდის სახელობის ყოფილ სახალხო სახლში შესდგება

ტფილისის ქალაქის საბჭოს პლენუმის სხდომა

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. მოხსენება ქალაქის აღმასკომის მუშაობის გეგმის შესახებ.
2. მოხსენება კომუნალურ მეურნეობის, ქალაქის წარმოების მდგომარეობის შესახებ.
3. განცხადება სექციური მუშაობის შესახებ.
4. განცხადება პრეზიდიუმის.

ყველა წევრთა გამოცხადება სავალდებულოა.

3—1

მდივანი: ხუნდაძე.

შაბათს, აგვისტოს, 12-ს, საღამოს 5 საათზე,
ქალაქის აღმასკომის შენობაში შესდგება

ტფილისის ქალაქის საბჭოს აღმასკომის სხდომა

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. გეგმა ტფილისის ქალაქის აღმასკომის შემდეგი მუშაობის.
2. დამტკიცება სავალდებულო დადგენილების საჯაროთა ადგილზედ საქონლის საძოვრის აკრძალვის შესახებ.

ყველა წევრთა გამოცხადება სავალდებულოა.

3—1

მდივანი: ხუნდაძე.

## ფრთხილად კონსულნო!

განსაკუთრებით დიდის მტკივნეულობით და მრავალი გაუგებრობით ხასიათდება დღეს ამიერ-კავკასიის ფედერალური სახელმწიფოს ჩამოყალიბება. ჩვენ მივადევნეთ განვითარების იმ საფეხურს, როცა პრაქტიკულად უნდა გადაწყდეს ძლიერ ბევრი უაღრესად პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობის საკითხები. ჩვენ მივადექით იმ სინამდვილეს, რომელშიაც ყოველივე ისე უმტკივნეულოდ და იოლად არ მიმდინარეობს, როგორც ეს შეიძლება გვქონდა წარმოდგენილი. საკითხები, რომელნიც გვეგონა თავისთავად და ბუნებრივად გადაწყდებოდნენ, იწვევენ ბრძოლას და წინააღმდეგობებს; გამოჩნდა ინტერესთა სხვაობაც ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს შორის, როცა ჩვენ მიუახლოვდით სინამდვილეს და თეორიიდან ერთა და რესპუბლიკათა სოლიდარობის პრინციპის განაღდება კონკრეტულ გარემოში მოვიწადინეთ.

განსაკუთრებით ამ აზრით სხვ. და სხვაობამ იჩინა თავი, როცა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ზოგიერთ კომისარიატების გაერთიანების საკითხი დადგა.

რაღა თქმა უნდა აქ დავა არ იყო იმის შესახებ, საჭიროა თუ არა გაერთიანება ზოგი დარგებისა ამიერ-კავკასიის მაშტაბში პრინციპიალურად ამ დებულებას ყველა ფედერაციის აღმსარებელი იზიარებდა. განსაკუთრებით უთანხმოება და აზრთა სხვადასხვაობა დაიბადა ამ გაერთიანების ფორმების გამონახვის ირგვლივ.

მდგომარეობას ის გარემოებაც კიდევ უფრო ართულებს, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაციას არ აქვს შემუშავებული კონსტიტუცია, რომელიც უჩვენებდეს ამ გაერთიანების ფარგლებს, რის გამოც თვითეული რესპუბლიკის კომპეტენცია იწყება და მას ვერ გადააბიჯებს ამიერ-კავკასიის ფედერალური საბჭოც. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების კონფერენციამ ზოგადი და მოკლე დებულებანი შეიმუშავა, რომლითაც რამოდენიმე კომისარიატის გაერთიანებაც იყო გადაწყვეტილი. სამ. მაგრამ ამავე კონფერენციამ არ მოგვცა ის ფარგლები, რომელშიაც უნდა გატარებულიყო ეს გაერთიანება.

მაგალითად, შეიძლება გაერთიანება მოხდეს ზოგად პრინციპიალურ საკითხების გადაჭრისა და გატარების ნიადაგზე ამიერ-კავკასიის ფედერალურ ორგანოებისათვის ამ უფლების მინიჭებით; ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები ცალკე რესპუბლიკების კომპეტენციაში დარჩეს. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ ამ კომპეტენციის ფარგლების აღნიშვნა დღემდის მოხერხდა და ამის გამო კოლიზიებსა და უთანხმოებებსაც აქვს ადგილი მრავალ პოლიტიკურ ეკონომიური მნიშვნელობის პრობლემათა გადაჭრის დროს.

ასეთი ფაქტიური მდგომარეობის დროს რას მოითხოვს საქმის ინტერესები, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შორის სოლიდარობის განმტკიცების საჭიროები.

ჩვენ გვგონია ამიერ-კავკასიის ფედერალური საბჭო ამ გაერთიანების ფარგლები შესახებ წინდაწინ და უნდა შეუთანხმდეს ცალკე რესპუბლიკებს და მიღწეულ შეთანხმების ჩარჩოებში დაამუშაოს სათანადო გაერთიანების დებულებათა შექმნას საამისო გაერთიანებული აპარატი.

თორემ დღევანდელ პირობებში, როცა არ გვაქვს ამიერ-კავკასიის ფედერაციის კონსტიტუცია, რომელიც უნდა იყოს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შეთანხმების ნაყოფი, ჩვენს ფედერალურს საბჭოში თითის აწევით საკითხი არსებითად ვერ გადაიჭრება და კარებს გაუღებთ მრავალგვარ გაუგებრობასა და უთანხმოებებს.

ამ გვარი მდგომარეობა კი არამც თუ საზიანოა და დამღუპველი თვითეული რესპუბლიკისათვის და ამიერ-კავკასიის ფედერალური სახელმწიფოსათვის, იგი ძირითადათ ეწინააღმდეგება ფედერაციისა და ერთა სოლიდარობის პრინციპებსაც.

ამიტომ ვფიქრობთ საჭიროა თვითეულ რესპუბლიკების, როგორც პოლიტიკურ ისე პროფესიონალურ ორგანიზაციების აზრის მოსმენა, მათი საკითხისადმი დამოკიდებულების გაგება, ამ მხრით ერთგვარი შემათანხმებელი ხაზის გამონახვა და შემდეგ ამ გაერთიანების ფორმის ფედერალურ ორგანოს მიერ დადგენილებებისა თუ კანონ-მდებლობის გზით გატარება.

ჩვენ კი წინააღმდეგს ვხედავთ. ჯერ არც კი მიღწეულა შეთანხმება ცალკე რესპუბლიკებთან მაგალითად ფოსტა-ტელეგრაფის უწყებათა გაერთიანების საკითხში, რომ ამიერ-კავკასიის ფედერალური საბჭო ამ გაერთიანების ფარგლებსაც ხაზავს და მის გატარებასაც კისრულობს აღნიშნული საკავშირო ორგანო.

შედეგათ ცხადია უნდა მივიღოთ არა სასურველი მოვლენა; ის, რომ საქართველოს სოც. რესპუბლიკის ძალა-უფლების მატარებელნი ორგანოები არ დაკმაყოფილდა ფედერალურ ორგანოს გადაწყვეტილებამ და ამ მხრივ საკითხი კიდევ მტკივნეულად სდგას ჩვენს წინაშე.

როგორც მკითხველი დაინახავს ჩვენ გვინდა საკითხს ისე მივუდგეთ, რომ უდიდესი ნაკლი ჩვენი ამიერ-კავკასიის ფედერაციისა, რომელიც ჩამოყალიბებულ კონსტიტუციის უქონლობაში მდგომარეობს, შევავსოთ წინასწარი შეთანხმებით და საერთო ენის გამონახვით ცალკე რესპუბლიკებთან. უკანასკნელნი კი მიანიჭებენ ფაქტიურად ფედერალურ საბჭოს იმ კომპეტენციის სფეროს გაერთიანების დიდ საკითხში, რომელიც ფორმალურად ჯერ ვერ იქმნა ჩამოსხმული ამიერ კავკასიის ფედერაციის კონსტიტუციის სახით.

როცა არა გვაქვს იურიდიულად შემოხაზული კომპეტენციის უფლებები თუ გინდა გაერთიანების საკითხში, მაშინ ეს კომპეტენცია უნდა მოვნახოთ და შევიძინოთ ცალკე რესპუბლიკების წინასწარ ფაქტიურად შეთანხმების მეშვეობით.

ამისთვის კი საჭიროა საკითხების საჯაროდ გამოტანა და თვითეულ მნიშვნელოვან მუშურ ორგანიზაციებისაგანაც აზრის მოსმენა, რომ ამ მასალისაგან აშენდეს ჭეშმარიტი სავალდებულო დადგენილებანი და ხალხისაგან დაუცილებელი პოლიტიკური აპარატები.

მაგრამ ზოგს ეს ასე არ ესმის. ამის მაგალითს იძლევა ამხ. მაკარიანის გამოსვლა ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეთა ყრილობაზე. ვინც წაიკითხა ამხ. დამსწრეს წერილი, იგი დამეთანხმება, რომ ამხ. მაკარიანი გაურბის საქართველოს მუშა-მოსამსახურეთა აზრის მოსმენას.

ამიერ-კავკასიის გაერთიანებული ფოსტა-ტელეგრაფის უწყების სათავეში მდგომი კომისრის მოადგილეში მხოლოდ ლიმილს იწვევს საქ. ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეთა სურვილი თვისი უწყების ბედის გადაჭრაში მონაწილეობის მიღებისა. ეს ამხ. მაკარიანს არა მარტო ყრილობისაგან უბრალო წყლის ნაყვად მიაჩნია, მისი აზრით აღნიშნულს ყრილობას არც აქვს უფლება იმსჯელოს ამ საკითხზე.

მაგრამ ამხ. მაკარიანმა რად გააკეთა მოხსენება ამავე ყრილობაზე? ჩანს იმდენად დამაკმაყოფილებელი შთაბეჭდილება ვერ მიიღო ყრილობისგან ამხ. კომისრის მოადგილემ, რომ მსჯელობასა და კამათს იგი ასე დამცინავი გახადა.

ჩვენ აღნიშნული მაგალითი ამხ. მაკარიანისა მოვიყვანეთ, როგორც დამახასიათებელი ერთი ტიპის „გამაერთიანებელთა“, რომელნიც შეთანხმება-სოლიდარობაზე კი არ აგებენ პოლიტიკურს საქმიანობას; პირიქით ზიანს უქონენ ამ დიდ საქმეს ერთა სოლიდარობის განმტკიცებისას და ამიერ-კავკასიაში პოლიტიკურ სხეულთა ბუნებრივად ჩამოქნას ხელს უშლიან თვისი შემცდარი ზევიდან გაერთიანების პოლიტიკით, მართალია საქ. ფოსტა-ტელეგრაფის მუშა მოსამსახურეთა ყრილობის სიტყვა ფორმალურად უკანასკნელი არ იყო, მაგრამ ფაქტიურად მას უაღრესი მნიშვნელობა მიეცემოდა საკითხის საბოლოოდ გადაჭრის დროს.

და ჩვენ გადაჭრით ვამბობთ, ასეთ გზაზე შედეგომა სახიფათოა და მავნებელიც; ჩვენგან მითითებული საშუალება ნი გვგონია არის ერთად ერთი უმტკივნეულო და ბუნებრივი გადაჭრა განსაკუთრებით იმ საკითხებისა, რომელნიც ამიერ-კავკასიის გაერთიანებული კომისარიატების უფლება-კომპეტენციასა და საზოგადოთ გაერთიანების ფორმებს შეეხება.

მეტი დაკვირვება და მეტი ანგარიში გაწევა საჭიროა იმაზე თუ რას ფიქრობს თვითეული რესპუბლიკის მუშათა კლასი ამა თუ იმ პოლიტიკური ფორმების რეორგანიზაციისა თუ მოსპობის დროს.

ვინც ამ სინამდვილეს ანგარიშს არ უწევს, ჩვენ მათ ვეუბნებით: ფრთხილად კონსულნო, რომ ერთა სოლიდარობის ნაცვლად წინააღმდეგი არ მივიღოთ.

ფაცხი.

## ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზა

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში აღმშენებლობითი მუშაობა დღითიდღე იზრდება. თუ აქამდე დიდი ყურადღება იყო მიქცეული ხარწყავ არხების გაყვანაზე, რომელსაც სოფლის მეურნეობაში დიდი მნიშვნელობა აქვს, დღეს ჩვენ მოწამენი გავხდით, თუ როგორ ფართოვდება ჩვენი ეკონომიური წინმსვლელობა. აღმშენებლობითი მუშაობაში ჯერ-ჯერობით პირველი ადგილი უჭირავს საქართველოში ახალ რკინის გზის გაყვანას, მაგ. გურიაში, ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზას, რომელსაც, გარდა პოლიტიკურისა, დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ყველა ასეთ საქმეს თვით მუშები და მშრომელი გლეხობა დიდი სიფხიზლით და სიხალისით ეკიდება. როდესაც ამ საქმეს მოჰკიდე ხელი, მაშინ არ მქონდა ამოდენა იმედი, ვერ წარმომედგინა თუ ჩვენი მუშები ამდენათ მომზადებული იყვნენ აღმშენებლობითი მუშაობისათვის. როცა მოხდება მუშურ ორგანიზაციებთან ლაპარაკი, რომ დაეხმარონ გურიის მშრომელ ხალხს, ამ დიად, რკინის გზის გაყვანის საქმეში, აღფრთოვანებაში მოვდივარ მათი ფხიზელი შეხედულობით იმ საქმეზე. პირველი ჩემი მიმართვა იყო ბათომის სანაპირო არტელის მუშებისადმი, და რაკი ჩაეწვეთათ ყურში ასეთი დიდი საქმის დაწყება, მათ სიხარულს საზღვარი აღარ ქონდა და რამოდენიმე მილიარდი მანეთი შესწირეს ამ საქმის დასახმარებლად.

მეორედ მივმართე საქართველოს გაერთიანებულ რკინის გზის კომმუნალურ არტელს რომლის გამგეობის სხდომა მოხდა ამა წლის ივნისის 24-ს. ამათი შემოწირულება ფულით თუ მუშაობით 8 მილიარდ მანეთამდის აღწევს, როცა გავაცანი არტელის გამგეობის სხდომას ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის გაყვანის საქმის დაწყება, გამგეობაც ფხიზლად შეუდგა მსჯელობას თუ რით დაეხმარებოდათ გურიის მშრომელ ხალხს ამ დიად საქმის შესრულებაში, ორატორები ხაზ-გასმით აღნიშნავდნენ, რომ არის მნიშვნელოვანი დახმარება რითაც კი შეუძლია არტელს მაქსიმუმამდე. მიღებულ იქმნა ერთხმად და ერთსულოვნად შემდეგი რეზოლიუცია:

„გავითვალისწინეთ მოწოდება ოზურგეთის სამაზრო აღმასკომის და მოვისმინეთ მოხსენება მის სრულუფლებიანი რწმუნებულის ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის გაყვანის საქმეში ამხ. გრიშა სარჯველაძის ოზურგეთის რკინის გზის შტოს გაყვანის შესახებ.

საქართველოს რკინის გზის გაერთიანებულ კომმუნალური არტელი, მისი გამგეობის სახით ერთსულოვნათ ესალმება გურიის მშრომელი ხალხს და მის აღმასკომის მიერ დაწყებულ დიად საქმეს, რკინის გზის გაყვანას გურიაში, და უსურვებ მას დასახულ მიზნის მიღწევას.

არტელის გამგეობა ღებულობს რა მხედველობაში ამ დიად საქმის მნიშვნელობას და მის მიერ გამოწვეული ტვირთის სიმძიმეს და რათა შეუმსუბუქოს გურიის მშრომელ ხალხს ამ დიადი საქმის შესრულება. თავის მხრივ არტელი ღებულობს თავის თავზედ ყოველგვარ თანაგრძნობას და დახმარებას, რაიც გამოიხატება შემდეგში: კომმუნალური არტელი ღებულობს თავის თავზე ყოველგვარ—ტვირთს ამ რკინის გზის საჭირო მასალებისა, ინვენტარისა, ინსტრუმენტებისა, პროდუქტებისა და სხვა ნივთების დაცლას ვაგონებიდან სადგურ ნატანებში, გზებში ს. ს. ს. რ. ტერიტორიაზე ამ ტვირთის გადაზიდვის დროს დაზიანებულ ვაგონების სხვა ვაგონებში გადატვირთვას და ნაღდ ფულად ნახევარი მილიარდი (500.000 მ.) დახმარებას.

ამასთანავე მოუწოდებს საბჭოთა ყველა დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და პროფესიონალურ კავშირებს, კერძო დაწესებულებებს და პირთ, აგრეთვე მთელ მშრომელ ხალხს, გაუწიონ დახმარება ამ დიდი საქმის აღორძინებაში, რომელსაც აქვს მნიშვნელობა არა მარტო გურიის ფარგლებისათვის, არამედ მთელ საბჭოთა ფედერაციისათვის.

დასასრულს გამგეობა კომუნალურ არტელის სახელით მხურვალე სალამს უძღვნის საქართველოს შრომის ქვეყანაში ამ დიად საქმის აღორძინებას, როგორიც არის გურიაში რკინის გზის გაყვანა და მით ჩვენ შერყეულ ეკონომიური მდგომარეობის გაჯანსაღებას“.

ეს ორი მაგალითი ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის გაყვანის საქმეში—აშკარად გვეუბნება საქართველოს მუშათა კლასის მომწიფებას და მის გამოფხიზლებას საქართველოს პოლიტიკურად და ეკონომიურად განვითარებაში. მუშათა კლასს მხარში უდგია და ისეთივე გულმხურვალე თანაგრძნობით ეგებება აგრეთვე საქართველოს მშრომელი გლეხობაც მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია გურიის მშრომელი გლეხობა, რომელმაც თავის თავზე იდვა ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის გაყვანა ყველაზე უფრო უმძიმესი მიწის სამუშაო საქმე, როგორც ბოგირის აგება, ხე-ტყის დამზადება და მოტანა, შენობების აგება, ლიანდაგის დაგება, ხრეშის დაყრა და სხვა ყველა შავი სამუშაო. ყველა ეს სამუშაო მარტოდ გურიის მშრომელ ხალხისათვის და ამ ორ ნორჩ არტელისათვის, რომელნიც ასე გულუხვად ეხმარებიან ამ დიდს საქმეს, ფრიად მძიმეა. საჭიროა მათ მიეშველონ ყველა იმ პირებმა და ორგანიზაციებმა, რომელთაც აინტერესებს საქართველოს შერყეულ ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესება. ვინაიდან ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზას დიდი მნიშვნელობა აქვს. საბჭოთა და კერძო დაწესებულებებმა, კოოპერატიულ საზოგადოებებმა, პარტიულ ორგანიზაციებმა, პროფესიონალურ კავშირებმა, მშრომელთა და მრეწველთა და არტელებმა და ყველა კერძო პირებმა არ უნდა დაიშურონ თავიანთი წვლილი, ვინაიდან ასეთი დიდი საქმე დღევანდელ მომენტის მიხედვით მხოლოდ შეერთებულის ხალხური ძალით და დახმარებით აღორძინდება. დახმარება შესაძლებელია ყოველივე სა-

შეძლებით. მაგალითად: ფულით, ღირებულების ნივთებით, სამუშაო და საწარმოო იარაღებით, ყოველგვარ მასალებით, ყოველგვარ სურსათით და სავალიუტო ნივთებით.

ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი მოწოდება უყურადღებოდ არ დარჩება, როგორც მშრომელთა, აგრეთვე მრეწველთა საზოგადოების მიერ.

შემოწირულება და ცნობების მიღება შეიძლება ქალაქ ტფილისში, უმაღლეს სახალხო სამეურნეო საბჭოსთან არსებულ ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის კომიტეტში და აგრეთვე იმ კერძო პირებთან, რომლებსაც მიცემული აქვთ სათანადო მანდატი.

ოზურგეთის სამაზრო აღმასკომის წევრი და სრულ-უფლებიანი რწმუნებული ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის გაყვანის საქმეში გრიგოლ ხარჯველაძე.

# გერმანიის ამბები

**როგორ გაძარცვეს გერმანია**

**ნაუენი** 10 აგვ. დღეს სხდომაზე ლოიდ ჯორჯი ამტკიცებდა, რომ გერმანიამ აღასრულა ვერსალის ხელშეკრულება თავის სრული განიარაღების მხრივ. გერმანიამ გადასცა მოკავშირეებს 33478 ზარბაზანი, 38000 ბომბის მფრქვეველი, 11000 დე მორტირა, 708000 ტყვიის მფრქვეველი, 4 მილ. ცალი ბომბა და ნახევარ მილიარდამდე ვაზნა.

**ექსპერტთა კომისიაში**

**კრაუდენი,** 10 აგვ მოკავშირეთა ფინანსიური ექსპერტთა კომისია შეუდგა პუანკარეს მოთხოვნილებათა მუხლების სასწრაფო განხილვას გერმანიის ავანსებზე კანტროლის დაწესების შესახებ კომისიას არ აქვს უფლება განიხილოს ამ მუხლების პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხი და დაიწყებს მის განხილვას მხოლოდ პრაქტიკული თვალსაზრისით.

**უნდა დაეხმარონ გერმანიას**

**კრაუდენი,** 10 აგვ. გაზეთ „ვესტ მინსტერის" სიტყვით, თუ მართლადაც სურთ მიიღონ გერმანიისაგან კუთვნილი თანხები, მათ უნდა მისცენ გერმანიას დრო ძალღონის მოსაკრებად და არ ჩააყენონ იგი ისეთ მდგომარეობაში, რომელიც განუმზადებს მას სრულ გაკოტრებას და უილაჯობას ისე, როგორც ავსტრიას.

**შედეგების გამოხარკვევად**

**კრაუდენი** 10 აგვ. სამშაბათს გაიმართება ექსპერტთა კომისიის სხდომა რობერტ ხორნის თავმჯდომარეობით, რომელიც ლოიდ ჯორჯის თხოვნით შეუდგება ამ შედეგების განხილვას, რომელიც შეუძლია გამოიწვიოს პუანკარეს მოთხოვნილებებმა.

# უცხოეთი

**ინგლისის კონფერენციები**

**ბერლინი** 10 აგვ. ლონდონის ოფიციალურ წრეებში განწყობილება თათბირისადმი პესიმისტურია.

**ესეც თავისუფლება**

**ნაუენი** 10 აგვ. საფრანგეთის ფოსტა-ტელეგრაფის დირექტორმა აუკრძალა საფრანგეთის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებს გაატარონ თავიანთი შვებულების დრო გერმანიის საზღვრებში.

**გემის დატყვევება**

**ნაუენი** 10 აგვ. შეერთებულ შტატების სანაპიროების ხელისუფლებამ დაატყვევა ინგლისის გემი ალკოგოლის გადაზიდვისათვის. ეს დატყვევება ეწინააღმდეგება ინგლისის უკანასკნელ ნოტას და გამოიწვევს დიპლომატიურ გართულებას.

**მთავრობის ჯარების გამარჯვება**

**კრაუდენი** 10 აგვ. ოფიციალური ცნობების თანახმად, მთავრობის ჯარებმა დაიკავეს ორი მნიშვნელოვანი პოზიცია. ქალაქ ნიუკესტლ-ვესტის დაკავების შემდეგ აჯანყებულთა უპირატესობა ლიმერიკის რაიონში ისპობა.

**ე მ ი ხ ი ა**

**კრაუდენი** 10 აგვ. ავსტრიის მთავრობამ მიმართა მოკავშირე სახელმწიფოებს შუამდგომლობით საემისიო ბანკისათვის გარანტიების მიცემის შესახებ.

**პარლამენტში**

**ბერლინი** 10 აგვ. მმართველი პარტიების საგადასახადო რეფორმისადმი დაკავებულ პოზიციის გამო ჰუნგრეთის ნაციონალურ კრების თავმჯდომარე გადმოვიდა მმართველი პარტიის შემადგენლობიდან.

**უკიდურესი სოციალისტების კონგრესი**

**ჰანოვერი** 10 აგვ. შემდეგი საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი გაიმართება პრაგაში 12 აგვისტოს. ინგლისის წარმომადგენლებად იქნებიან გენდერსონი და მაკდონალდი, ბელგიის — ჰიუისმანი, ჰოლანდიის (გამოტოვებულია) გერმანიის ველსი. სხვა დელეგატების გვარები ჯერ ჯეროვნად არ იციან.

**პილსუდსკის გასტროლები**

**ბერლინი** 10 აგვ. ლეგიონერების წლის თავზე კრაკოვში ჩამოსულ პილსუდსკის ოვაციებით შეხვდნენ.

**კაპიტალის წინააღმდეგ**

**ბერლინი** 10 აგვ. მადრიდში ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა გაფიცვა გრძელდება. სანტანდერაში თუმცა გაფიცულები თავიანთ ადგილებზე რჩებიან, მაგრამ არ მუშაობენ.

**კაბინეტის წარდგომა პარლამენტის წინაშე**

**რომი,** 10 აგვ. ხვალ ახალი კაბინეტი წარსდგება პარლამენტის წინაშე. კაბინეტის თავმჯდომარე წაიკითხავს დეკლარაციას, რომელშიც აღნიშნავს იმ ღონისძიებას, რომელსაც მიმართავს კაბინეტი ქვეყანაში პოლიტიკური მშვიდობიანობის დასამყარებლად. ფიქრობენ, რომ დეკლარაციის განხილვის შემდეგ, პარლამენტი შაბათს გ. შევებული იქნება ვაკაციებზე.

**კომუნისტ მერის გამორიცხვა.**

**ლონდონი.** ქალაქ ბულონის კომუნისტი მერი დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან, სამხედრო მინისტრისადმი „შეურაცმყოფელი წერილის გაგზავნისათვის ჯარების დათვალიერების შემთხვევის გამო. მინისტრმა გაუგზავნა მუნიციპალურ საბჭოს 50 ბილეთი დათვალიერებაზე დასასწრებლად, რომელნიც მერმა უკანვე დააბრუნა ერთის გამოკლებით, რომელიც დატოვებულ იქმნა საბჭოს ერთი წევრისათვის — არა კომუნისტისათვის, განცხადებით, რომ მუნიციპალური საბჭო ვერ შეასრულებდა თავის მოვალეობას ომში დაღუპულთა მიმართ, თუ კი მიიღებდა მონაწილეობას მილიტარიზმის ხოტბა-ქებაში.

**კომუნისტური სკოლების წინააღმდეგ.**

**ლონდონი.** კონსერვატორებს განზრახული აქვთ აღძრან თემთა პალატაში საკითხი კომუნისტების საკვირაო სკოლის შესახებ და სურთ მოითხოვონ, რომ „არ დაუშვან იმ სწავლის გავრცელება, რომელიც ამართლებს, სხვათა შორის მარშალ ვილსონის მკვლელობას".

**სამხედრო რეგისტრაცია.**

**რიგა.** 26 ივლისი. ლატვიის სამხედრო სამინისტროს ბრძანების თანახმად, ხდება რეგისტრაცია 1877—1905 წ. დაბადებულთა. აგრეთვე რეგისტრაცია ხდება ცხენების და ტრანსპორტის.

**იტალიაში**

**ბერლინი.** 9 აგვ. 7 აგვისტოს ფაშისტები არ გამოსულან, მთავრობის მიერ მიღებული ზომები თავის გავლენას ახდენს.

— 10 აგვისტოს ახალი კაბინეტი წარუდგა პარლამენტს. ფაქტამ გამოაქვეყნა მთავრობის დეკლარაცია.

**ნაუენი.** 9 აგვ. საერთო მდგომარეობა იტალიაში ერთგვარად გაუმჯობესდა მუშაობა განახლდა მილანში, მაგრამ ჯერ კიდევ ზოგიერთ რაიონებში არსებობს საალყო წესები.

**რომი,** 9 აგვ. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ გამონაკლისებს იტალიაში საერთო მდგომარეობა ნორმალურ სახეს ღებულობს იმ შეთანხმების გამო, რომელიც მოხდა ფაშისტებთან. გენუის ნავთსადგურის ავტონომიურ კონცორსიუმის თავმჯდომარემ გამოსცა განკარგულება (დამახინჯებულია) მეორე განკარგულების მიხედვით განსაზღვრულია წესები ნავთსადგურის სიის საერთო გადასინჯვისა.

**ალბანეთი და ანგორა.**

**ბერლინი** 9 აგვისტო. ალბანიიდან ანგორაში გაემგზავრა მისია ფესები-ბეის თავმჯდომარეობით ამ ორ სახელმწიფოთა შორის ურთიერთი დამოკიდებულების აღსადგენათ.

**ანგორა და შვეიცარია.**

**კონსტანტინოპოლი,** ანგორის მთავრობა ნიშნავს თავის კომერციულ აგენტს ბერნში.

**კიაზიმ-კარა-ბექირის გეგმები.**

**კონსტანტინოპოლი.** აღმოსავლეთის ფრონტის სარდალი კიაზიმ კარა ბეკირმა, აღმოსავლეთ პროვინციების შემოსავლიდან გადასდო 300,000 ოსმალური ლირა გზების ასაშენებლად. მუშაობაზე გამოიყვანებენ ქრისტიან ჯარის კაცებს ტეხნიკური კომისია იმუშავებს გეგმას ერზერუმ-ყარსის გზისას.

**იოანნე გუსი.**

**ჰანოვერი.** 8 აგვისტო. სერბიის საეკლესიო სინოდს განზრახვა აქვს მართმადიდებელს სამღვდელოების მომავალ ყრილობაზე წამოაყენოს საკითხი იოანნე გუსის კანონიზაციის შესახებ, როგორც ნაციონალური გმირისა და ჩეხო სლავაკიისათვის პირველი მებრძოლისა.

**საბერძნეთი და ბულგარეთი.**

**ათინა.** კომიტაჯიების ბანდები თავს დაესხნენ სოფელ სალისტს. სანაპირო რაზმმა ადგილობრივი მცხოვრებლების დახმარებით დარეკა ბანდიტი. კომიტაჯების [illegible] დროს ტყვეთ იქნა წამოყვანილი ბანდების [illegible].

**ბერლინი** 10 აგვისტო „პტი პარიზენ"-ის ცნობებით ლონდოვიდან, ლოიდჯორჯმა განაცხადა, რომ პუანკარეს მიერ დაჭერილი პოზიციის გამო,—ის ფიქრობს, რომ ანტანტის სახელმწიფოთა შორის განხეთქილება ადვილი მოსალოდნელია, შეიძლება აუცილებელიც იყოს.

**მარკის დირებულება**

**ნაუენი,** 10 აგვ. სახელმწიფო ბანკმა გამოარკვია, რომ 3 აგვისტომდე ერთი ოქროს მარკის ღირებულება უდრიდა 250 ქაღალდის მარკას.

**გერმანიის ერთობა**

**რომი,** 10 აგვ. ბავარიის სეიმის დახურვისას თავმჯდომარემ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიდაც ხაზი გაუსვა ბავარიის მტკიცე გადაწყვეტილებას დარჩეს გერმანიის სახელმწიფოთა კავშირის შემადგენლობაში.

**დიზელის მამოძრავი**

**ბერლინი.** ბერლინიდან იტყობინებიან, რომ ანტანტამ აუკრძალა გერმანიას წყალქვეშა ნავებისათვის დიზელის მოტორების დამუშავება, ხოლო გერმანიას სრული უფლება ეძლევა დაამუშავოს დიზელის მამოძრავები სხვა მიზნებისათვის.

**რკინის გზელთა გაფიცვა.**

**კრაუდენი.** 10 აგვისტო. მიუხედავად მოლაპარაკების უნაყოფოდ დამთავრებისა რკინის გზაზე გაფიცვის დამთავრების შესახებ, პრეზიდენტმა მარდინგმ ახალი ნაბიჯები გადადგა კონფლიქტის მოსაგვარებლად.

**ცეცხლით და ხაზტებით.**

**რომი.** 10 აგვისტო. ამერიკის ინდიანის შტატში ნახშირის მაღაროების მთავრობის ჯარების მიერ დაკავების დროს, მოხდა შეტაკება ჯარებისა და მუშების შორის. ბევრია მოკლულები და დაჭრილები გამოაცხადეს სამხედრო წესები.

# პოლიტიკის რევიზია და შეთანხმების საჭიროება

I.

**რუსეთის რევოლიუცია**

საქართველოში წითელ ვარსკვლავოსანი ჯარის კაცის შემოსვლა პოლიტიკურ ძალთა კოლიზიის გამო ისე ბუნებრივი იყო, როგორც ინგლისურ ტანსაცმელში გახვეულ ჯარის კაცის შესვლა ინდოეთში, ან კორეის ტრადიციის შექმნა იაპონური მანტიით შემოსულ ჯარის-კაცთა მიერ.

ეს ანალოგია მხოლოდ მსვლელობის პროცესს შეეხება და არა მსვლელობის მიზანს.

დასავლეთის იმპერიალიზმის მსვლელობის მიზანი კარგად მოეხსენება ყველას, ხოლო რუსეთით დაწყებულ მოძრაობის მსვლელობის მიზნის ნათელი წარმოდგენა დღესაც ბევრისათვის ბუნდოვანია.

მართალი იყო პლეხანოვი, როდესაც ამბობდა, რომ უმაღლესი კლასები ყოველთვის ცდილობენ რევოლიუციონური მოძრაობის „ბუნტად" დასახვასო. ოგიუსტ ტიერიც სისწორით აღნიშნავდა ინგლისის ბურჟუზიის მოქმედებას რევოლიუციონურ ხანებში.

როდესაც 1688 წლის რევოლიუციამ, რომელსაც არ მოჰყოლია სისხლის დვრა და სტიუარტთა დინასტია ორანსკის დინასტიად შეიცვალა, ბურჟუაზიამ ამ მოძრაობას „დიდებული" რევოლიუცია უწოდა, ხოლო 1642—1649 წლის დიდ რევოლიუციას, რომელსაც შედეგად მოჰყვა კარლოს პირველის დასჯა და რესპუბლიკის გამოცხადება, ამ რევოლიუციას ბურჟუაზიამ „დიდი ბუნტი" უწოდა.

დღესაც ბევრისათვის რევოლიუციის კვალიფიკაცია არსებითად შეტრინხულია.

დღესაც საკმაოა ვინმე მილიციონერის უმეცნო საქციელი, ან რომელიმე წითელ სამოსით მოვლენილი შოვინისტის უხეირო პოლიტიკა იმისთვის, რომ ევროპიული სოციალისტები იმეორებდნენ ისეთ სიტყვებს რევოლიუციის მიმართ, რომელსაც თავის დროზედ ამბობდა მეტერნიხი და ლიუ XVI.

მაგრამ რევოლიუცია რეაქციონურ ელემენტთა ვოლიუნტარისტულ სულისკვეთების მიხედვით არ მიმდინარეობს და თუ იგი ევროპის რეაქციის მამას, მეტერნიხს, გუშინ ვენიდან ინგლისში გააძევებდა, დღეს იგი მოსკოვიდან და ტფილისიდან მენშევიკებს და მათ ახლო ნათესავთ რეაქციის სამშობლოში—საფრანგეთში მიერეკება.

რას ნიშნავს ყოველივე ეს?

ეს იმას ნიშნავს, რომ თუ სისწორით წარიმართა რევოლიუციის პროცესი, იგი ბოლოს მაინც გარიყავს ყველა მათ, ვისაც რევოლიუციასთან შემთხვევითი კავშირი აქვს.

რევოლიუციის ისტორიამ იცის როგორც მშვიდობიანი ეპიზოდები მაგ. 1688 წ. რევოლიუცია ინგლისში, 1870 წლის 4 სექტემბრის რევოლიუცია პარიზში და სხვა, მაგრამ მან კიდევ უფრო მეტი იცის სისხლიანი რევოლიუციები, რომელნიც შედეგი გამხდარა მოწინააღმდეგე ძალთა ძლიერი დაპირისპირების.

თუ 1848 წელს, როდესაც მთელი ევროპა რევოლიუციონური გავლენის ქვეშ იდგა, ნიდერლანდებში შესაძლებელი იყო მშვიდობიანი რევოლიუცია, თუ იაპონიაში შესაძლებელი იყო მშვიდობიანი რევოლიუცია 1868 წლის სისხლიან რევოლიუციის შემდეგ, თუ 1848 წელს გერმანეთის პატარა სამთავროებში—საქსონიაში, ბავარიაში, ბადენში, ვიურტემბერგში და სხ. შეშინებული მეფენი გარბოდნენ და სტოვებდნენ ტახტს, ასეთივე მოვლენას არ ქონდა ადგილი ვენის რევოლიუციის დროს (1848 წლის 13 მარტს), როდესაც მოჰყვა სისხლის დვრა, ან ბერლინის რევოლიუციას (18 მარტს) სადაც დაეცა ასეული მსხვერპლი და (1830 წ.) ივლისის რევოლიუციას, რასაც შედეგად მოჰყვა, რამდენიმე ათასეული კაცის სიცოცხლის მოსპობა.

რა თქმა უნდა ჩვენი მორალური კატეგორიები ვერ ურიგდება სისხლიან მოვლენებს, მაგრამ პოლიტიკური ბრძოლის შინაგანი აუცილებლობა ასეთ ფაქტის წინაშე გვაყენებს ხშირად.

არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ რევოლიუცია ომია—ომის წინააღმდეგ და ამდენათვე მისი მიზანი პროგრესიული და კულტურულია.

თუ გადავავლებთ თვალს კაპიტალის მაგნატთა მიერ წარმოებულ ომებს, ჩვენ დავინახავთ რაოდენი განსხვავებაა იმ მსხვერპლს შორის, რომელიც მოყოლია უდიდეს რევოლიუციებს და იმ მსხვერპლს შორის, რომელიც მოყოლია თუ გნებავთ უმცირეს ომებს. (მარტო გასული ომი ოფიციალი ცნობით 25.000.000 სული დაუჯდა ევროპას).

რუსეთის რევოლიუცია ამ მხრივ გამონაკლის არ წარმოადგენს. რამდენადაც ძლიერი იყო დაპირისპირება მოწინააღმდეგე ძალთა შორის, იმდენათ მეტი იყო სისხლიანი სურათების სიმრავლე, მაგრამ ეს სრულებით არ ფარავს რუსეთის რევოლიუციის მნიშვნელობას.

თუ 1905 წელს კარლოს კაუცკის შეეძლო ეთქვა, რომ რუსეთში სწარმოებს ისეთი, რევოლიუცია, რომელიც თავისი ძლიერებით და მნიშვნელობით უნდა მოვათავსოთ არა უდიდეს რევოლიუციებთან, რომელსაც ადგილი ქონდა მე-17 საუკუნეში ინგლისში და მე-18 საუკუნეში საფრანგეთშიო, ჩვენ დღეს, მიუხედავად იმისა, რომ კარლოს კაუცკი ამასვე ეხლა იმეორებს პაციფისტური მსოფმხედველობის გავლენის გამო, მაინც შეგვიძლია ასეთ რევოლიუციების გვერდით დავაყენოთ რუსეთით დაწყებული მოძრაობა.

მართალია ის, რომ რუსეთის რევოლიუცია დღეს არა თუ გამარჯვებულია, არამედ უმთავრესი პოზიციებიც არა აქვს დაპყრობილი. ისიც ცხადია, რომ ეკონომიურ პოლიტიკის სფეროში მან უკან დაიხია, მაგრამ როგორც პირველი არ მოასწავებს მის დამარცხებას, ისე მეორე არ უდრის კომუნიზმის კაპიტულიაციას.

როგორც ყოველ ბრძოლაში, ისე რევოლიუციაშიაც არის მომენტები შეტევების, უკან დახევის, მოგერების. ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ისეთი რევოლიუცია, რომელიც თანაბარი სისწრაფით წარიმართებოდეს თავის განვითარების ყოველ მომენტში.

რუსეთის რევოლიუციამ სოციალური გარდაქმნის პროცესი დაიწყო, სოციალურ რევოლიუციას მისცა დასაწყისი. სხვა გვარად შეუძლებელიც იყო, რადგან ევროპის მაშტაბით ბურჟუაზიული რევოლიუციების ციკლი უკვე დამთავრდა.

როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ სოციალური გარდაქმნის ხანაში ვცხოვრობთ, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ სოციალიზმის სამეფოში შევსდგით ფეხი და ჩვენს წინაშეა უკვე დასრულებული ახალი სოციალი ფორმაცია. ასეთი რამ დღეს, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. შესაძლებელია გარდამავალი პერიოდის გახან გრძლივებამ ათეული წლები გასტანოს და ვერც ერთი დღევანდელი მებრძოლი ვერ ეღირსოს სოციალისტურ წყობილებას.

ფეოდალიზმის ლიკვიდაციის პროცესმა, თუ კი დიდხნობით გასტანა და მთელი რიგი ომებისა და რევოლიუციების წიაღში იშვა კაპიტალიზმი, არ არის საკვირველი, რომ კაპიტალიზმის ლიკვიდაციის პროცესიც ანალოგიურ პირობებში ჩატარდეს, რის ნიშნები უკვე ხდება ჩვენს წინაშე, რომ კაპიტალიზმის დეგრადაცია თავის გზით მიდის, ამას ამტკიცებს ვერსალიდან დაწყებული დიპლომატიური კამპანია, ვიდრე ჰააგამდე, რომელმაც ვერც ერთი საკითხი ვერ გადასწყვიტა ისე და იმ გვარად, როგორ და რა გზით რადაც ეს სურდა ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებს.

ვერსალის შემდეგ ეს „გამარჯვებული" ქვეყნები ეძებენ გამოსავალს ეკონომიური რენესანსისას, მას ვერ შველის ვერ ატლანტის ოკეანეს გადაცურვა ამერიკელი ხიუზის გეგმების მოსმენა ვაშინგტონში, ვერც უსუსური რეზოლიუციის შედგენა კანაში, ვერც გენუაში გამართული მასკარადი და ვერც ჰააგის ტრაგი-კომედია.

ყოველივე ეს შედეგია იმის, რომ ევროპის კაპიტალიზმი შედგა დეგრადაციის გზაზე და მისთვის გამოსავლის პოვნა შეუძლებელია. სხვადასხვა პალიატიური ზომებით შეიძლება ჯერ კიდევ დიდხნობით გასტანოს ევროპის კაპიტალიზმმა, ამისათვის მას აქვს ჯერ კიდევ საკმაო რესურსები და სასიცოცხლო ენერგია, მაგრამ მისი ხელახალი რენესანსი შეუძლებელია.

თუ ფეოდალური კულტურის გადაგვარებას ევოლიუციის გზა ახასიათებდა, კაპიტალისტურმა კულტურამ საწარმოო რევოლიუცია გამოიწვია და იგი ადრე მიაღწია თავისი დასასრულის [illegible] რებს.

რა თქმა უნდა კაპიტალიზმი არ არის ბა თავისთავად ბუნებრივი სიკვდილით მეურნეობის მექანიკამ ჩვენ არ მოგვცა ის ობიექტიური აუცილებლობა, რომელიც სოციალ მოვლენათა რთული კონფლიქტის სახით გადასწყვეტდა კაპიტალისტური მეურნეობის ბედს.

ამიტომ დღეს ბრძოლაა გამართული იარაღით ხელში კაპიტალისტური ბილების წინააღმდეგ. ჩვენ დაწვრილებით არ გვინდა შევჩერდეთ კაპიტალისტური მეურნეობის და სოციალური ტრანსფორმაციის კანონების შე[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლონდონის თათბირი

**პუანკარეს მოხსენება**

ნდონი. 10 აგვისტო. ლონდონის თათბირის დილის სხდომაზე პუანკარემ გააკეთა საფრანგეთის ფინანსიური მდგომარეობის და საკონტრიბუციო საკითხის საზოგადო მიმოხილვა. მისი სიტყვით საფრანგეთს შეეძლო დასთანხმებოდა გერმანიისათვის მორატორიუმის მიცემას, მხოლოდ იმ პირობით თუ გერმანია აღუთქვამს მას სათანადო გარანტიებს და თანახმა იქნება კონტროლისა სახელმწიფო ბანკზე, ექსპორტ-იმპორტზე და საგარეო ვაჭრობაზე. გერმანიამ აგრეთვე უნდა მიიღოს განსაკუთრებულ ბაჟის დაწესება რურის ნახშირზე, რომელიც შედის საკონტრიბუციო გადასახადის თანხაში. აღადგინოს საბაჟო ხაზი ანტანტის ჯარების მიერ დაკავებულ ოლქში. რურის აუზის შემოსავლით ნაწილში დაწესებულ იქნეს კონტროლი მაღაროებისა და ტყის სახელმწიფო შემოსავალზე და საფრანგეთის კაპიტალისტებს უფლება მიეცესთ მონაწილეობა მიიღონ გერმანიის მრეწველობის 26 პროც.-ში.

**რა დაუჯდათ მოკავშირეებს ომი.**

**კრაუდენი** 10 აგვისტო. ლონდონის თათბირის დილის სხდომაზე ლოიდ-ჯორჯმა ილაპარაკა რა იმ ზარალზე, რომელიც მიაყენა მოკავშირეებს ომმა, მოიყვანა შემდეგი ციფრები იმ მოხსენებიდან რომელიც გამოაქვეყნა ბანკის ტრესტმა. საფრანგეთს დაუჯდა ომი 12 მილიარდი და 430 მილიონ დოლარად, ხოლო დიდ ბრიტანეთს 20 მილიარდ და 30 მილიონ დოლარად.

**საფრანგეთის ჯიუტობა.**

**კრაუდენი** 10 აგვისტოს. დილის სხდომაზე პუანკარემ გააცნო თათბირს ის დაბრკოლებები, რომელიც გადაელობა წინ ვერსალის ხელშეკრულების ცხოვრებაში გატარებას და განაცხადა, რომ საფრანგეთი არ იქნება მომხრე გერმანიისათვის მორატორიუმის მიცემისა კარგა მსხვილ გარანტიების გარეშე.

ლონდონის თათბირი

**რომი.** 9 აგვისტო. 8 აგვისტოს გაემგზავრა ლონდონს ფინანსთა მინისტრი პარატორე.—იტალიის პრესა თანაგრძნობით ეგებება იმ ენერგიულ განცხადებებს, რომელიც შანცერმა გააკეთა ლონდონის კონფერენციის გახსნის დღეს. ფიქრობენ, რომ ეს განცხადებანი მისცემენ უპირატესობას იტალია-ინგლისის თვალსაზრის გერმანიის საკითხში.

# ფიქრები საქართველოზე

უცხო ქვეყნიდან ჩვენ გვეწვია უცხო სტუმრები,
უცხო სტუმრები შემოსილი წითელ ფერებით,
მოვიდნენ თოფით, ზარბაზნებით, დიდი ურმებით
ახალ სიტყვებით, ახალ ჰიმნით და სიმღერებით.
დიდი მიზანი დაუსახავს დიდსა ქვეყანას
და ჩვენი მხარეც ბრძოლის ცეცხლში გამოახვია,
სიკვდილს მოუხმო, მის მჭრელ ხმალზე ალესა დანა
და ძველი წიგნი ისტორიის—დასწვა, დახია.
თუ იგი შესძლებს დაწყებული საქმის გატანას
შავბნელ აჩრდილებს ძლევის გზაზე არ შეუშინდა
ახალ ზღუდეზეააშენებს ახალ ქვეყანას
და აღებულ ტვირთს შეუდრეკლად ბოლომდის ზიდავს.
თუ ჩვენც აგვინთებს საოცნებო ლამაზ განთიადს
თუ ხალხი, ხალხი მათთან მივა თავისი ნებით
ჩვენს ეროვნულ ცას თვით ავაგლეჯთ დაგროვილ წყვდიადს
და ჩრდილოეთის მაჩანჩალა არ შევიქნებით.
ვინ იტყვის უარს საქართველოს აღდგინებაზე
იმისი კარგი ყველა ჩვენგანს გულს აუტოკებს.
მაგრამ თუ მიდგა საქმე ერის შეგინებაზე
მაშინ, ო, მაშინ თვითვე დავგრეხთ ჩვენ მაგარ თოკებს,
და თუ ვერ შევსძლებთ უწმინდესი დავიცვათ გრძნობა
და თუ ვერ შევსძლებთ გაუმკლავდეთ ვინც გაგვამწვავებს,
საკუთარ ხელით ხაზს გაუსვამთ ჩვენს არსებობას
და ჩვენივ თოკზე ჩამოვიდრჩობთ ჩვენივე თავებს.
მაგრამ მე მინდა დავიჯერო ქართველი ხალხი,
არ აინთება სამარცხვინო შურით და მტრობით
ხალხი ბევრ რამის გამოვლილი, ბევრის ნანახი
გაიმსჭვალება ერთის აზრით და ერთის გრძნობით.
იქ არ იქნება მენშევიკი ან კომუნისტი.
იქნება ძმები ერთ კალთაში ერთად აღზრდილი
გვწამდეს სამშობლო, ავაცალოთ ჩვენ თვალებს ბისტი
აი, რას ამბობს აკაკის და შოთას აჩრდილი.
მისტიურ გზაზე მისტიურად შენაერთები
ადვილად გავგლეჯთ გადაბარდულ გლარძებს და ნარებს
გარდავიქცევით უძლეველნი როგორც ღმერთები
და გამოვანგრევთ გადარაზულ ევროპის კარებს.
პირადულ მტრობას გადალახავს მიზანი რთული
რომ ამ ერთობამ ერის წყლული გამოამთელოს,
წითელ დროშასთან ავამაღლოთ დროშა ქართულიც
და კვლავ დავსძახოთ „გაუმარჯოს ჩვენ საქართველოს“.

**საფო მგელაძე.**
**1921 წ.**

# განაჩენი ესერების საქმის შესახებ

**„კავროსტახაგან“:** რადიო დეპეშა ესერების მოსკოვში 7 აგვისტოს გამოტანილი განაჩენის შესახებ, არ იყო მიღებული თბილისის რადიო სადგურის მიერ ძლიერი ატმოსფერული მოვლენათა გამო. „კავროსტამ“ ენერგიული ნაბიჯები გადადგა, რათა პირდაპირი მავთულით მიიღოს მოსკოვიდან განაჩენის ტექსტი.

**მოსკოვი.** 10 აგვ. სიკვდილით დასჯის განაჩენი მემარჯვენე ესერების ლიდერებისათვის, არის განაჩენი რუსეთის მუშურ-გლეხური მასებისა. მუშებისა და გლეხების მილიონები იარაღით ხელში იცავდენ სამი წლის განმავლობაში მუშურ გლეხურ რუსეთს თეთრი ბანდებისაგან, ანტანტის ჯარებისა და ესერების ხელის შეშველი მუშაობისაგან (დამახინჯებულია)... შეიძლებოდა გაეგო თუ უზენაესი ტრიბუნალი იტყოდა, რომ ესერების ხელმძღვანელები, რომელნიც დაწყებული ოქტომბრიდან, მუშებისა და გლეხების გამოჯავების დღიდან, განუწყვეტლივ ასულდგმულებდენ, აწყობდენ და აწარმოებდენ სამოქალაქო ომს მშრომელთა წინააღმდეგ,—არ არიან დამნაშავენი მუშებისა და გლეხობის წინააღმდეგ ჩადენილ ბოროტმოქმედებაში და არ უნდა იქნენ პასუხის მგებელნი თავისი სიცოცხლით ამ ბოროტ—მოქმედებისათვის. ასი ათასი ინვალიდებს, ასი ათასი ობლებსა სამოქალაქო ომის ჯარის-კაცებს უფლება ექნებოდათ მოეთხოვათ რევტრიბუნალისაგან დაუნდობელი მსჯავრის გამოტანა იმათ მიმართ, ვისი მიზეზებითაც იქნენ მოკლულნი მათი მამები. რევტრიბუნალის განაჩენი არის განაჩენი რუსეთის მშრომელი მასების სინდისისა. საბჭოთა მთავრობამ დაამტკიცა განაჩენი, გამოდიოდა რა ქვეყნის პოლიტიკურ ინტერესებიდან, რუსეთის დასაცავად.

საბჭოთა მთავრობამ სთქვა, რომ ბრძოლა კიდევ არ არის დამთავრებული და რომ მსოფლიო კაპიტალი ამზადებს ახალი შემოტევას რუსეთის მშრომელთა წინააღმდეგ და რომ ესერები ძველებურად არიან იარაღი საერთაშორისო კაპიტალის ხელში. მაგრამ საბჭოთა მთავრობამ შეაჩერა განაჩენის სისრულეში მოყვანა. ამ ჟამად ჩვენი მოწინააღმდეგენი სუსტნი არიან, ანტანტას არ შეუძლია შეიარაღებული შემოტევის დაწყება. ესერების პარტიის ორგანიზაცია, რომელიც არის სამხედრო ჯაშუშების შტაბი ანტანტისა—უკვე განადგურებულია. ჩვენ სამხედრო შესვენების მდგომარეობაში ვართ. თუმცა არსებობს კანონიერი პოლიტიკური უფლება ესერების დასასჯელად, მაგრამ საბჭოთა მთავრობა აძლევს მათ ვადას. იგი ამბობს: სამოქალაქო ომის ცეცხლის წამკიდებელნო ესერებო, მკვლელებო ესერებო, თუ თქვენ შესწყვეტთ თქვენ სამოქალაქო ომს, ჯაშუშობისა და ტერორის პოლიტიკას, მაშინ თქვენი ხელმძღვანელნი გადარჩენილნი იქნებიან, მაგრამ თუ მიუხედავად იმისა, რომ თქვენი სახე გამომჟღავნდა ხალხის მასებისა და საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე, თქვენ მაინც განაგრძობთ თქვენ ბოროტმოქმედებებს, მაშინ იცოდეთ, რომ დინდობასა და შებრალებას აღარ ექნება ადგილი და რევოლიუციონური მართლმსაჯულების მახვილი დაეცემა თქვენი ხელმძღვანელების კისერზე და თქვენ ორგანიზაციებზე, რომელთა წევრებსაც ჩვენ შევხვდებით არა როგორც პოლიტიკურ მებრძოლებს, არამედ როგორც ანტანტის ჯაშუშებს. ამრიგად საბჭოთა მთავრობამ ესერების პარტიის მეთაურების ბედიღბალი გადასცა ხელში პარტიის ფაქტიურ ხელმძღვანელებს ჩერნოვს, ზენზინოვს და კერენსკის.

ჩვენ მათ ვეუბნებით: თვით თქვენ გადასწყვიტეთ ბედი თქვენი ხელმძღვანელებისა და თქვენივე პარტიისა. მთელი ქვეყნის წინაშე, საბჭოთა მთავრობამ პასუხისმგებლობა იმ სისხლის შესახებ, რომელიც სურდათ რუსეთში დაექციათ ესერებს,—დააკისრა ესერების პარტიის მეთაურებს. ამ გადაწყვეტილებით, საბჭოთა მთავრობა უსპობს საშვალებას ესერებს მიმართონ დასავლეთის მუშათა მასების ჰუმანიურ გრძნობებს და იყონ ბურჟუაზიისა და საერთაშორისო მენშევიზმის გავლენის ქვეშ. საბჭოთა მართლმსაჯულების მახვილი ამოღებულია და იგი მუშურ-გლეხური მთავრობის მტკიცე ხელშია. საბჭოთა მთავრობა არ ხელმძღვანელობს შურისძიების გრძნობით, იგი მხოლოდ იცავს რევოლიუციონური წესიერების, მშვიდობიანობისა და შრომის ინტერესებს. და თუ ესერები არ შეწყვეტენ სახელმწიფოს სამოქალაქო ომის ცეცხლში ჩათრევას, მაშინ ეს მახვილი დაეცემა მათი მეთაურების კისერზე. თუ ისინი კიდევ გაბედავენ ხელის სასიკვდილოთ გამოწევას, მაშინ საბჭოთა ხელისუფლება შეასრულებს რესპუბლიკის დაცვის საქმეს. თუ მტრები ჩვენ წინააღმდეგ ახალ შემოტევას დაიწყებენ, ისინი მიიღებენ სათანადო პასუხს. ეს ეხება არა მარტო ესერებს, არამედ საბჭოთა რუსეთის სხვა დანარჩენ მტრებსაც.

**მოსკოვი** 10 აგვისტო (რადიო). რევტრიბუნალის განაჩენმა, რომელიც გადმოცემული იყო რადიო დეპეშაში, გამოტოვებულია ბრალდებულების ვედენიაპინის, ფედოროვიჩის და არტემოვის გვარები, რომელთაგან თითეულს მისჯილი აქვს 10 წლით დაპატიმრება.

---

ვიტყვით მხოლოდ, რომ ის რეალური ფაქტები საერთაშორისო პოლიტიკისა, რომელიც ხდება უკანასკნელი წლების განმავლობაში ადასტურებენ ევროპის კაპიტალიზმის დაცემის, მის გადაგვარების ნიადაგზე.

ამიტომ არის, რომ დიდი და უშედეგო ცდა ხდება ექსპორია ყოფილ მენშევიკური მთავრობის უცხოეთში. ამიტომ არის, რომ რადიკალური ნაბიჯი ევროპის ქვეყნებმა ვერც ერთხელ ვერ გადადგა საბჭოთა ქვეყნების წინააღმდეგ.

უკვე ცხადია, რომ ეკონომიური კრიზისია არა მარტო ენერგიიდან დაცლილ ევროპაში, არამედ ოქროსაგან ჩასუქებულ ამერიკაშიაც.

მუშათა მოძრაობა უკვე გარკვეულ ხასიათს იღებს და ხდება ორი უკიდურესი პოლიუსის ირგვლივ პოლიტიკურ ძალთა შეჯგუფება. ამის კონკრეტი სახეა გერმანიის სინამდვილე, სადაც გაერთიანდა მემარჯვენე ფრთა და ერთ კოალიციაში მოექცა დამოუკიდებლები უკიდურეს მემარჯვენე და რეაქციონურ სტინესის პარტიასთან, ხოლო მეორე მხრით დარჩა კომუნისტური პარტია შეურიგებელი პოზიციის მატარებელი, რომლის გავლენა თანდათან იზრდება. ანალოგიურია იტალიის სინამდვილეც, სადაც ფაშისტების თარეშის და კომუნისტების დევნას აქვს ადგილი. ამასვე ამტკიცებს გახშირებული გაფიცვები სხვა და სხვა ქვეყნებში.

ყოველივე ეს იმას ჩაგვჩიჩინებს, რომ ევროპის კაპიტალიზმით სასიკვდილოდ განწირულია და ან დღეს და ან ხვალ ჩამოურეკავს მისთვის სამგლოვიარო ზარს მუშათა კლასი.

როდესაც ასეთი ძალთა განწყობილება საერთაშორისო პოლიტიკაში, არ არის საკვირველი, რომ ბათომის ნავთსადგურში შევხვდეთ ვარსკვლავიან ჯარის კაცს.

1921 წლის 25 თებერვლის აქტი შედეგი იყო იმ ძალთა ურთიერთობის, რომელიც შექმნილი იყო საერთაშორისო მაშტაბით. 1918 წლის 26 მაისის აქტის ცნობა ევროპის მიერ შედეგი იყო რუსეთიდან დაწყებული მოძრაობის გაფართოების, რომლის საზღვრების დადებას ცდილობდა ევროპა და სურდა ზღუდე აეგო ანატოლის მოძრაობასა და რუსეთის რევოლიუციას შორის. ამ ზღუდის გასაღები კი აუცილებლად უნდა ყოფილიყო ბათომის კარი და ამიტომ იყო, რომ ინგლისის ფარაჯიანი ჯარის კაცები სდარაჯობდა მას. მაგრამ, როგორც ყველგან ევროპის რეაქციის წარმომადგენელნიც აქაც დამარცხდნენ და მხოლოდ ფორტები აგვიფეთქეს წასვლის დროს კეთილ მეზობლური განწყობილების ნიშნად. რასაც ფორდროპის პირი ქადაგებდა ტფილისში.

ვისთვის უნდა იყოს საიდუმლო ის გარემოება, რომ ბათომის ფორტებს ინგლისელი ჯარის—კაცი აფეთქებდა არა ჰეჰინაძის სამხედრო სამინისტროს შიშის გამო, არამედ იმ „ანარქიის“ შიშის გამო, რომელიც ბოლშევიზმის სახით უახლოვდებოდა ბათომის ნავთსადგურს.

ინგლისელებმა ჰეჰინაძის სამინისტროზე ადრე იცოდნენ საქართველოს ბედის ტრიალი და ბოლშევიკური ძალის შემოსვლის აუცილებლობა ჩვენში, რის მოწამეც ჩვენ გავხდით 1921 წ. 25 თებერვალს.

ეს თარიღი ჩვენს ისტორიაში განსაკუთრებულია. ამ თარიღის აქტის შეფასებს და აქედან პოლიტიკური მოქმედების გეგმის დასახვას ქართველი ხალხისათვის გადამწყვეტი როლის შესრულება შეეძლო ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მაგრამ ვიდრე ამას განვიხილავდეთ, საჭიროა გამოვარკვიოთ თუ რისთვისა ვართ პასიური მოწამენი საერთაშორისო ძალთა კონცერტის? რისთვის ხდება, რომ საერთაშორისო პოლიტიკა ხან დეპეშით გვამცნობს რევოლიუციას, ხან ოსმალეთის თავშეხვეულ ჯარის კაცებს მოგვიყვანს ჩვენ მიწა—წყალზე, ხან გერმანელთა ახოვანი ფიგურა გვესტუმრება, ხან ინდოეთის კაბიანი ხალხი დასეირნობს რუსთაველის პროსპექტზე, ხან ინგლისელთა და იტალიელთა ჯარის კაცი ათვალიერებს თამარის დროინდელ ნანგრევებს და ხან კი ვარსკვლავოსანი ჯარის—კაცი ჩვენი სტუმარია?

რისთვის ხდება, რომ არავის არ ვპატიჟებთ, მაგრამ ყველა მიჯნურობას გვიცხადებს და ესოდენი სისწრაფით ცდილობს ჩვენს სტუმრობას? ნუ თუ არავითარი როლის შესრულება არ გვარგუნა ბედმა პოლიტიკურ ცხოვრებაში? როგორი მდგომარეობა შეიქნა ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას და როგორია დღევანდელი მომენტის ხასიათი? რას ვაკეთებდით მაშინ და რა უნდა ვაკეთოთ დღეს? როგორი სამოქმედო გეგმა უნდა ჰქონდეს პოლიტიკის ხელმძღვანელთ და ჩვენი ქვეყნის მშრომელ ხალხს?

ყველა ეს საკითხები იმდენად დროულია, რამდენადაც დღეს უკვე ნათელია როგორც საერთაშორისო პოლიტიკის მიმართება, განსაკუთრებით გენუასა და ჰააგის შემდეგ, ისე ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი მშენებლობის სახე.

საბჭოთა წყობილების დამყარების დღიდან საკმაო დრო განვლო, რომ ხელახლა, უკვე კონკრეტ ფაქტთა ნიადაგზე შეფასებული იქნეს ის პოლიტიკური სიტუაცია, რომელიც შექმნილია ჩვენში.

ამის შესახებ შემდეგ წერილში ვისაუბრებთ.

სერ. ამაღლობელი.

# ახალი ამბები

— **თამბაქოს საქმე.** რათა განხილულ იქმნეს თამბაქოზე და თამბაქოს ნაწარმოებზე დადებული სააქციზო გადასახადები ფინანსთა სახალ. კომის. შესდგა სპეციალური კომისია.

— **ღვინო ნიჟეგოროდის იარმუკაზე.** ს. ს. ს. რესპუბლიკის მიწად მოქმედების კომისარიატმა გააგზავნა ნიჟეგოროდის იარმუკაზე 10,000 ვედ. ღვინო წინანდალის ძვირფასი მამულიდან.

— **ფოთი.** ფოთის ნავთსადგურის ფარვატერი ღრმავდება 32 ფუტ. ამ სიღრმით შეიძლება ნავთსადგურში შემოვიდეს ღრმათ მოცურავე ოკეანეს გემები.

— **მარგანეცის გატანა.** წლის განმავლობაში 1 ოქტომბრიდან 1922 წ. 1923 წლის 1 ოქტომბრამდის „ჩემო“ ფიქრობს გაიტანოს ფოთიდან საზღვარგარეთ 60 მილ. ფუთამდის მარგანეცი.

— **სახლთმფლობელთა რეგისტრაცია** 9 აგვისტომდის მიწადმოქმედების განყოფილების სახელმწიფოთა რეგისტრაციის სექციაში შემოვიდა ტფილისის სახლების მფლობელთაგან 9.674 ანკეტა სექციამ მისცა სახლთმფლობელებს 5903 სარეგისტრაციო ბარათი. დღეში მზადდება 200 ამგვარი ბარათი.

— **ბათუმი.** უკანასკნელს ხანებში ძლიერ გამრავლდა საზღვარ-გარეთიდან მომსვლელ გემების რიცხვი ნავთ სადგურში. მაგალითად უკანასკნელს დღეებში თუ არ ვიანგარიშებთ იალქნიანებს, ბუქსირიანსა და მოტორიან ხომალდებს, რომელიც ჩვეულებრივ მოაქვთ ბათუმში, უამრავი სხვა და სხვა ტვირთი, უმთავრესად ოსმალეთიდან, მოვიდენ შემდეგი გემები: იტალიური „პერია“ კონსტანტინოპოლიდან 62,000 ფუთი ტვირთით და „ჩემო“—ტრაპიზონიდან 1000 ფ. ტვირთით და 109 მგზავრით; „კორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამო" აგრეთვე კონსტანტინოპოლიდან 1000 ფ. ტვირთით და 58 მგზავრით. ნოვოროსიიდან მოვიდა რუსეთის გემი „ავარისტანი", ოდესიდან ამერიკული „სია უგიური" 42,000, ტვირთით. ნავსადგურიდან წავიდა გემი: იტალიის „ვანნა" კონსტანტინეპოლში 75 მგზავრით და რუსეთის „ილიჩი" ოდესაში 1600 ფ. ტვირთით და 120 მგზავრით.

— ხოლერის განვითარება. წილკანში ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სანიტარულ-საეპიდემიო განყოფილების კერძო ცნობების მიხედვით შეჩერებულია იქ გაგზავნილ რაზმის დახმარებით. დაავადმყოფების რიცხვი მცირდება. წყლის გასინჯვის დროს ხოლერის ვიბრიონები არ აღმოჩენილა.

— გადამდები ხნეულებანი რესპუბლიკაში, ტფილისის გარდა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სანიტარულ საეპიდემიო განყოფილების ცნობების მიხედვით 1-დან 7 აგვისტომდე ამ რიგად ვითარდებოდა: სულ იყო 31 შემთხვევა, მათ შორის მუცლის სახ. 10 შემთხ., შებრუნებითი სახ. 1 შემთხვევა, პარტახტიანი სახადის—10 შემთხვევა, ხოლერის—12 შემთ. და როჟის—1 შემთხვევა.

— პედაგოგიური ტეხნ კუმ. სოციალური აღზრდის მთავარი განყოფილება, განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წინადადების გამო, არკვევს პედაგოგიური ტეხნიკუმის მოწყობის საკითხს.

— მცხოვრებთა ხაყურადღებოდ. 11—20 აგვისტომდე არსენალის რაიონში ყოველ დღე იქნება სროლა ტყვიისმფრქვეველებიდან.

— ამხ. კამოს სახელობის ბავშვთა სახლის ფონდის გასაძლიერებლად მიღებულია ქალაქის აღმასკომის სალაროში 3 აგვისტოს—1922 წ. ამიერკავკასიის კომუნისტურ პარტიის და სრულიად რუსეთის პროფკავშირის შეერთებულ ადგილკომის თანამშრომელთაგან. 8,054,000

— სტუდენტ პეტროველების მოგლინება. ტფილისში ჩამოვიდა პეტროვის სამხედრო აკადემიის 5 სტუდენტი, წარმომადგენელი მოსკოვიდან პრაქტიკულ სამეურნეო სამუშაოზე. ს. ს. ს. რ. მიწადმოქმედების კომისარიატის ნებართვით 5 სტუდენტი გაგზავნილ იქმნენ წინონდალის სახალხო მამულებში მევინეობაში სამუშაოდ, ერთი კარდანახის სახალხო მამულში იმავე მიზნით და ერთიც ჩაქვის მამულებში ჩაის მოყვანის შესასწავლად.

## სამხატვრო ქრონიკა

ქართული მუსიკის საღამო. დღეს 11 აგვისტოს ყოფილ ქართულ კლუბში გაიმართება ქართული მუსიკის საღამო. მ. ბალანჩივაძის და კ. ფოცხვერაშვილის ნაწარმოებთაგან, შესრულებული იქნება მესაყვირეთა ორკესტრით: ოპ. „თამარ ცბიერის", უვერტიურა და ბალეტი, სიმფონიური პოემა „ამირანი" კ. ფოცხვერაშვილისა და სხვანი. ქართული აკადემიური გუნდი შეასრულებს თავის რეპერტუარიდგან საუკეთესო ნომრებს, სოლისტები იმღერებენ ახალ რომანსებს. ბაღში ჩვეულებრივი სეირნობის დროს დაუკრავს ორი ორკესტრი, რომლებიც შეასრულებენ ქართულ პიესებს. შემოსავალი მოხმარდება საქველმოქმედო მიზანს.

— გაზ. „ბახტრიონი"—ვაჟას ნომერი. ოთხშაბათს, 9 აგვისტოს, გამოვიდა გაზეთ „ბახტრიონის" საგანგე ნომერი ვაჟას შვიდი წლის თავის აღსანიშნავით. ნომერში მოთავსებულია ლექსები: გრ. რობაქიძის, გიორგი ლეონიძის; წერილები: ტიციან ტაბიძის, ვახტანგ კოტეტიშვილის, არტურ ლაისტის; ვაჟას დაუბეჭდავი ნაწყვეტი, რჩეული ადგილები ვაჟას ეპოსიდან, ვაჟას სამი ლექსი: სიმღერა, გალაშქრება ლაშარის ჯვარის დროშით, დიდი თამარი; მოგონებანი: შიო მღვიმელისა, ვასილ ბარნოვისა, გაზეთში დაბეჭდილია აგრეთვე სურათები: ვაჟა-ფშაველა და ა. ყაზბეგი, ვაჟა ჩაფხუტით და ვაჟას უკანასკნელი პოემის ფაქსიმილე. ნომრის ფასი ათასი თუმ. ნი მისამართი: სამხედრო სტამბა.

# პროვინციის ცხოვრება

აბასთუმანის საკურორტო ცხოვრება. სეზონი გაცხოველებულია კურორტის სამმართველოს მეცადინეობით ზოგიერთი აგარაკები შეკეთებულია. სამმართველო სასანიტარო-ტეხნიკური ნაწილი იღებს ზომებს აბასთუმანის გასაწმენდათ, რისთვისაც სამაზრო აღმასკომმა გამოჰყო საჭირო მუშა ძალები. საქართ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ფ. მახარაძის წინადადებით ახალციხის სამაზრო აღმასკომმა გამოჰყო სპეციალური რწმუნებული კურორტის ადმინისტრატიულ აპარატის განსამტკიცებლად, კურორტის დაცვა სამაგალითოდ არის დაყენებული, დღით დარაჯობის გარდა, ღამით დანიშნულია ცხენოსანი გუშაგები. მიუხედავად აუარებელ ავადმყოფთა და მოაგარაკეთა თავმოყრისა ოთახები კიდევ ბლომად მოიპოვება. საკურორტო სამმართველოს მიერ გამოკრულია განცხადებანი, ზოგიერთ აგარაკების პატრონებისათვის დაბრუნების შესახებ, მეპატრონეებს დაუბრუნდებათ მხოლოდ ისეთი აგარაკები, სადაც ოთახების რიცხვი 5 არ აღემატება და ისიც აბასთუმანის მკვიდრ მცხოვრებთ. ყველა დანარჩენი აგარაკები აღრიცხულია სამმართველოს მიერ და საჩქაროდ სწარმოებს მათი რემონტი. პროდუქტების ფასები ხელმისაწდომია: პური 12,000 მან. ცხვრის ხორცი 16,000 მ. კვერცხი—3,000 მან. კარაქი—50.000 მ. რძე—12-15.000 მ. თაფლი—50—60.000 მან. გირ. მიმოსვლის საშუალებით ბორჯომსა და აბასთუმანს შორის აგრეთვე შედარებით ძალიან ძვირი არ არის. „ცენტრ-ტრანსპორტის" ავტომობილით მგზავრობა ღირს 400.000 მ. კერძო ეტლით მგზავრობა ბორჯომიდან აბასთუმნამდე სჭირდება 100—200,000 მ. ერთ ადგილში.

წაღვერის საკურორტო ცხოვრება. საკურორტო სეზონი გაცხოველებულია: მრავალია ჯანმრთელობის სახ. კომისარიატისაგან გამოგზავნილი მოაგარაკე ავადმყოფი და საბავშო ბაღები. სანოვაგის ფასები, მოაგარაკეთა სიმრავლის გამო, თან და თან იზრდება. გირვ. თეთრი პური ღირს 15000 მ. წითელი 10,000 ცხვრის ხორცი—25,000, ძროხისა 20.000, კარაქი—70,000, კართოფილი—2,500; თაფლი 45,000, ქართული ყველი 25,000, კვერცხი—4,000, ნავთი 2 გირ. 25.000 მ.

აფხაზეთის ხაფასური საავადმყოფო დაწესებულებათა სარგებლობისთვის. სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის კოლეგიამ მიიღო რა მხედველობაში მედიკამენტებზე ფასების გადიდება, დაადგინა—გადაახდევინოს ავადმყოფებს 55,000 მანეთი დღიურათ საავადმყოფოებში მედიკამენტებისათვის, ხოლო ოპერაციებისათვის დაძინების გარე—ერთი მილიონი მანეთი, დაძინებით კი 1,500,000 მან.

გუმისტინის მაზრაში დასრულდა ხორბლის აკრება. მოსავალი საერთოდ საშუალოა. სიმინდის მოსავალს წვიმების გამო კარგი პირი უჩანს. ხეხილის მოსავალი ყველგან ერთგვარი არ არის, ღვინის მოსავლის პირი საუცხოვოა.

ბადიურის წისქვილი. ბადიაურის წისქვილმა დაიწყო მუშაობა. მანქანები კარგად მუშაობს.

დამზადებათა განყოფილება. ივნისის განმავლობაში აფხაზეთის სახალხო სასურსათო კომისარიატის დამზადების განყოფილებამ შეკრა მთელი რიგი ხელშეკრულებათა საკვები საგნების მიწოდების შესახებ: 1500 ფუთი ზეთისა, 5000 ფუთი ფქვილისა (გზაშია) 5,000 ფუთი საქონლისა. წინად დადებულ ხელშეკრულების მიხედვით უკვე მიღებულია 1.500 ფუთი საქონელი. საქონლის მიღება მომავალში რეგულიარულად იწარმოებს, მაგრამ რადგანაც დამზადებათა ადგილობრივ (ყარაჩი და მთიელთა რესპუბლიკა) მოულოდნელი დაბრკოლებანი აღმოჩნდენ, მთელი პარტიის მიღება 1 ივლისისათვის ერთგვარად დაგვიანდა. მიღებული საქონლის რაციონალურად გამოყენებისათვის დამზადებათა განყოფილება აწარმოებს ამ საქონლის ტყავის გაშრობასა და დამარილებას, რომელიც დასჭირდება მას საზღვარ გარეთ სხვა და სხვა პროდუქტებზე გადასაცვლელად. აგრეთვე სწარმოებს ნაწლავების გამოღება საკოლბასო წარმოებისათვის, სწარმოებს ფეხსაცმელების და სანდლების დამზადება, რადგანაც იწყება სეზონი პურის დამზადებისა, აღძრულ იქნა შუამდგომლობა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რომ მისცეს სახალხო სასურსათო კომისარიატს საჭირო რიცხვი მანუფაქტურისა. შემუშავებულ იქნა ახალი ცხრილი საქონლის გადაცვლისა და დაეგზავნა ინსტრუქციები სამაზრო სასურსათო განყოფილებებს ამ გადაცვლის მოსახდენათ. მიღებულია საქმეები ხასურსათო გადასახადის მთავარი ინსპექციისა, მაგრამ ანგარიშები მაზრების მიხედვით ჯერ-ჯერობით საბოლოოდ არ არის დამზადებული.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

### დებულება.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

საადგილ-მამულო დავათა განხილვის წესის შესახებ.

1. ყოველგვარი საადგილ-მამულო დავა მიწათ-მოწყობასა და მიწათ-სარგებლობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილ უნდა იქნეს მარტოოდენ სამაზრო საადგილ-მამულო და ცენტრალურ საადგილ-მამულო კომისიების მიერ.

2. სამაზრო საადგილ-მამულო კომისია და ცენტრალური საადგილ-მამულო კომისია განიხილავენ საქმეს არსებითად.

3. სამაზრო საადგილ-მამულო კომისია უნდა მოეწყოს თვითეული მაზრისათვის, ან სათანადო ადმინისტრატიული ერთეულისათვის. კომისია შესდგება: თავმჯდომარისაგან, რომელსაც სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის წარდგენით დანიშნავს მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარი და ორი წევრისაგან, რომელთა შორის ერთს წარადგენს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი ხოლო მეორეს იუსტიციის სახ. კომისარიატი, კომისიაში მუდმივი მონაწილეობისათვის.

4. ცენტრალური საადგილ-მამულო კომისია იმყოფება ტფილისში და შესდგება თავმჯდომარისა და ერთი მუდმივი წევრისაგან, რომელთაც დანიშნავს მიწათმოქმედების სახალხო კომისარი და აგრეთვე ერთი წევრისაგან, რომელსაც წარადგენს იუსტიციის სახ. კომისარი კომისიის შედგენილობაში მუდმივი მონაწილეობისათვის.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, უკეთუ კომისიის თავმჯდომარე ადგილობრივ არ იმყოფება, მიწათ-მოქმედების სახ. კომისარი დანიშნავს მის მოადგილეს.

5. სამაზრო საადგილ-მამულო კომისია შეუდგება საადგილ-მამულო საქმის წარმოებას დაინტერესებულ პირის ან დაწესებულების (მომჩივანის) თხოვნით და გადასწყვეტს საქმეს მოწინააღმდეგე მხარის (მოპასუხის) მოწვევით, ამ უკანასკნელისაგან—უკეთუ იგი გამოცხადდება,—ახსნა-განმარტების მოსმენის შემდეგ.

შენიშვნა: ახსნა-განმარტება შეიძლება წარდგენილ იქნეს კომისიაში დაბარების დღისათვის წერილობითაც.

6. საქმეთა განხილვის წესი სამაზრო და ცენტრალურ საადგილ-მამულო კომისიებში, მხარეთა წარმომადგენლობა, მოწმეთა და მცოდნე პირთა დაბარება, მათი გასამრჯელო, შედეგები დაბარებულ პირთა გამოუცხადებლობისა და სხვ., განისაზღვრება სათანადო წესებით, რომელიც შემოღებულია საქმეთა განხილვისათვის სახალხო სასამართლოში.

შენიშვნა: საჩივარის თვითეული განცხადება შეფასებულ უნდა იქნეს; ბაჟი გადაჰხდება საჩივრის ფასის 2-პროც. რაოდენობისა; ამასთანავე სამაზრო კომისიას უფლება აქვს წარმოდგენილ საბუთების მიხედვით მიანიჭოს მომჩივანს სიღარიბის უფლება.

7. ვადა სააპელაციო საჩივრის შეტანისათვის განისაზღვრება ორი კვირით რეზოლიუციის გამოცხადების დღიდან. საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს ცენტრალურ საადგილ-მამულო კომისიაში სამაზრო კომისიის მეშვეობით, რომელსაც გადაწყვეტილება გამოუტანია; სამაზრო კომისია წარადგენს დასახელებულ საჩივარს, მთელ საქმეს და თავის გადაწყვეტილებას,—საბოლოო ფორმით შედგენილს—ცენტრალურ კომისიაში სამი დღის განმავლობაში საჩივარის შეტანის დღიდან, იმავე ვადაზე ცენტრალ ურ კომისიაში უშუალოდ მიღებული საჩივარი გადაეგზავნება კუთვნილებისამებრ სამაზრო კომისიას, ცენტრალურ კომისიაში წარსადგენად საქმესთან ერთად.

შენიშვნა: ცენტრალურ საადგილ-მამულო კომისიას უფლება აქვს დანიშნოს საქმის განხილვა ადგილობრივ, რისთვისაც მოაწყობს გასვლით სესიებს.

8. ცენტრალური კომისიის დადგენილება დაუყოვნებლივ შედის კანონიერ ძალაში და შესრულებულ უნდა იქნეს ისევე, როგორც განსაზღვრულ ვადაზე გაუსაჩივრებელი გადაწყვეტილება სამაზრო კომისიისა ადგილობრივ აღმასკომის მეშვეობით, რისთვისაც მომჩივანს ეძლევა საადგილ-მამულო კომისიიდან აღსრულების ფურცელი.

9. უმაღლესი ზედამხედველობა კომისიების მოქმედებისათვის ჰმართებს მიწად-მოქმედების სახალხო კომისარს; უკეთუ ერთი თვის განმავლობაში დღიდან კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების დადგინებისა, მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარი სცნობს, რომ კომისიის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საერთო საადგილ-მამულო პოლიტიკას, იგი გააუქმებს ამ გადაწყვეტილებას და საქმეს გადასცემს სათანადო საადგილ-მამულო კომისიას კვლავ განსახილველად.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე
აღმ. კომიტეტის მდივანი
თ. კალანდაძე

1922 წ. აგვისტოს 7.
ტფილისი—სასახლე.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ჩვენ, ყოფილი წევრნი მემარცხ. სოც. რევ. პარტიისა (ინტერნ.) არ ვეთანხმებით რა სრულიად მისს იდეოლოგიას, ვსთვლით ტფილისის ორგანიზაციის ტაქტიკას, რომელსაც ხელმძღვანელობს „შელადი" ასლანოვი, მიმართულად პროლეტარიატის დიქტატურის საწინააღმდეგოდ, ხოლო მის იდეოლოგიას დაშნაკიზმის იდეოლოგიად, რომელიც გადაიხლართა მენშევიზმთან.

არა გვსურს რა შემდეგში ვიქნეთ პასუხისმგებელნი რევოლიუციისა საბჭოთა ძალა-უფლების წინაშე ამ „პარტიის" მოქმედების გამო, უკეთ ამ ფრაქციისა, ამით ვაცხადებთ, რომ ჩვენ აწი არ ვთვლით ჩვენს თავს ამ ორგანიზაციის წევრებად.

რწმუნებული ამხანაგების ერთი ჯგუფის ხელით გრ. თკეშელა.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი



# სახელმწიფო გამომცემლობა

თანახმად არსებულ დეკრეტისა ყოველგვარ საზოგადო გასართობებზე პროცენტების გადახდის შესახებ ქალაქის სასარგებლოდ, აღმასკომის გადასახადთა ბიურომ დაადგინა ა. წ. 1 აგვისტოდან ყველა გასართობებს გადაახდევინოს ბილეთების ღირებულებაზე 5 პროც. გადასახადთა ბიუროს სასარგებლოდ.

სახელმწიფო გამომცემლობა თანახმად შეთანხმებისა აღმასკომის საფინანსო განყოფილებასთან (6, № 149) წინადადებას აძლევს ყველა კლუბებს, თეატრებს, კინოებს, ცირკებს, პარკებს და დაწესებულებებს, რომელნიც აწყობენ სპექტაკლებს, საღამოებს, კაბარეს და სხვა გასართობებს ბილეთების წიგნაკები წარმოადგინონ რეგისტრაციისათვის სახელმწიფო გამომცემლობაში ლორისმელიქოვის ქ. № 5. ბილეთებზე იქნება დასმული სახელმწიფო გამომცემლობის ბეჭედი ურომლისოდაც ბილეთები ჩაითვლება გაუქმებულად დ დადგენილების დამრღვევნი კი მიცემული იქნებიან სამართალში და დაკარგავენ უფლებას ზემოაღნიშნულ გასართობების გაწყობაზე. ყოველგვარ ცნობების და განმარტების მიღებისათვის უნდა მიმართონ სახელმწ. გამომცემლობის გამგეს. (ლორისმელიქოვის ქ. № 5).

5—2

# ამონაწერი

ქალ. აღმასრულებელი კომიტეტის ვერის ბორანისათვის შემუშავებულ კონდიციიდან

11. ქალ. აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით კონდიციის ძალით ვერის ბორანის მოიჯარადრე გამსვლელთ ახდევინებს 5.000 მანეთს გასვლა-გამოსვლაში.

12. მოიჯარადრე ვალდებულია გაანთავისუფლოს გადასახადისაგან მილიციონერი, წითელ არმიელებიდან კი მარტო ჯარის კაცები.

1) შენიშვნა: თუ გამსვლელი არ მოისურვებს უკან დაბრუნებას ერთი დღის განმავლობაში გამოსვლის ფული არ უბრუნდება და ის იხდის 5.000 მანეთს ერთ მგზავრობაზე.

2) შენიშვნა: ღამის 10 საათიდან ქირის გადახდევინება მოხდება შეთანხმებით, დილის 5 საათამდე.

6—2